სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ომარ არდაშელია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.30

ჰენრი კისინჯერის ზომიერების საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებში

ვუძღვნი ჰენრი კისინჯერის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს

აბსტრაქტი. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მოღვაწეს, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს, XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ინტელექტუალს ჰენრი ალფრედ კისინჯერს 2023 წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

გერმანიის ქალაქ ფიურტში, სკოლის მასწავლებლის ოჯახში დაბადებულმა ჰენრი კისინჯერმა გაიარა გზა რიგითი ჯარისკაციდან მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის - აშშ-ის სახელმწიფო მდივნამდე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანთა შორის, ცოტას მიუღწევია ისეთი საერთაშორისო წარმატებისთვის, ნდობისა და აღიარებისთვის, როგორიც კისინჯერს ჰქონდა. იყო დრო, როცა მისი ავტორიტეტი აშშ-ის მოსახლეობაში ზოგჯერ აღემატებოდა თვით პრეზიდენტისას. მისი პოპულარობა დიდწილად განაპირობა საგარეო პოლიტიკის იმ მიმართულებამ, რომელიც ისტორიულად ცნობილია როგორც „დეტანტი“ - საერთაშორისო დაძაბულობის შემცირების პოლიტიკა.

1969–1973 წლებში, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის პოსტზე ყოფნისას, კისინჯერმა საფუძველი ჩაუყარა აშშ–ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, ხელი შეუწყო ვიეტნამის ომიდან აშშ-ის ეტაპობრივ გასვლას და დაიწყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების დათბობა. 1973–1977 წლებში, სახელმწიფო მდივნის რანგში, მან გააგრძელა დაწყებული საქმე ამ მიმართულებებით და ხელი შეუწყო სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მოლაპარაკებებს (SALT), ჩაატარა წარმატებული „Shuttle diplomacy“ ახლო აღმოსა-

[1] **ომარ არდაშელია,** ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი.

ვლეთში და იმოქმედა როგორც ერთ-ერთმა მთავარმა შუამავალმა არაბ-ისრაელის კონფლიქტების დროებითი დარეგულირების პროცესში.

ჰენრი კისინჯერი არ იყო მხოლოდ პრაქტიკოსი პოლიტიკოსი, ის იყო მკვლევარი და თეორეტიკოსი, რომლის ნაბიჯები ეფუძნებოდა აკადემიურ კვლევებსა და რეალისტურ გათვლებს. ჰანს მორგენთაუსთან ერთად, ის პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, გაანალიზოს ჰენრი კისინჯერის წარმატების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი - საერთაშორისო დაძაბულობის შემცირების პოლიტიკა და მიაგოს პატივი პოლიტიკოსს, რომლის საქმიანობამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: ჰენრი კისინჯერი, თეორეტიკოსი, დიპლომატი, პოლიტიკური რეალიზმი, დეტანტი, საერთაშორისო უსაფრთხოება, მშვიდობიანი თანაცხოვრება.

Omar Ardashelia[2],
Sokhumi State University

Henry Kissinger's Moderation Foreign Policy in International Relations

Dedicated to the 100th anniversary of Henry Kissinger's birth

Abstract. In 2023, the world marked the 100th anniversary of the birth of Henry Alfred Kissinger - one of the most prominent figures in the history of international relations and diplomacy, Nobel Peace Prize laureate, and one of the leading intellectuals of the second half of the 20th century.

Born in the city of Fürth, Germany, to a schoolteacher's family, Henry Kissinger rose from the rank of a regular soldier to become the Secretary of State of the world's leading power - the United States. Among the U.S. Secretaries of State, few have attained the level of international success, trust, and recognition that Kissinger enjoyed. There was a time when his authority among the American public even surpassed that of the president himself. His popularity was largely driven by a foreign policy approach historically known as „détente" - the policy of reducing international tensions.

Between 1969 and 1973, as U.S. National Security Advisor, Kissinger laid the groundwork for the restoration of U.S.- China diplomatic relations, facilitated the gradual withdrawal of the United States from the Vietnam War, and initiated a thaw in U.S.-Soviet

[2] **Omar Ardashelia.** Doctor of History, Professor of International Relations at Sokhumi State University.

relations. From 1973 to 1977, as Secretary of State, he continued these policies – promoting Strategic Arms Limitation Talks (SALT), conducting successful „shuttle diplomacy“ in the Middle East, and acting as one of the main mediators in the temporary settlement of Arab–Israeli conflicts.

Henry Kissinger was not only a practitioner of politics - he was also a scholar and theorist whose actions were based on academic research and realistic calculations. Alongside Hans Morgenthau, he is considered one of the most notable representatives of political realism.

This paper aims to analyze one of the key foundations of Henry Kissinger's success - the policy of détente - and to pay tribute to a statesman whose work significantly contributed to the preservation of global peace and stability.

Keywords: Henry Kissinger, Theorist, Diplomat, Political Realism, Détente, International Security, Peaceful Coexistence.

შესავალი. ჰენრი კისინჯერი[3] თანამედროვე დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი აღიარებული ავტორიტეტი და ექსპერტია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში პრაქტიკული საქმიანობითა და სამეცნიერო ნაშრომებით პოლიტიკური რეალიზმის მიმდევარი იყო. ჰენრი კისინჯერი თანამედროვე დიპლომატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. მისი მოღვაწეობა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ურთიერთობებზე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე. გერმანიიდან ემიგრირებული ებრაული წარმოშობის ინტელექტუალი ჰენრი კისინჯერი იმ იშვიათ პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც აკადემიური ცოდნა და საერთაშორისო პოლიტიკის ისტორიული ანალიზი რეალურ საგარეო პოლიტიკაში წარმატებით გამოიყენა.

მისი ცხოვრების გზა პატარა გერმანული ქალაქიდან მსოფლიოს პოლიტიკის ცენტრამდე - ვაშინგტონამდე ადვილი არ ყოფილა. მან ბევრი წინაღობა გადალახა „ამერიკული ოცნების“ მისაღწევად, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი აკადემიზმი და რაციონალური დამოკიდებულება, როგორც ცხოვრებისეული მოვლენების, ასევე პოლიტიკისადმი.

დისკუსია. ჰენრი კისინჯერის პროფესიული აღმასვლა მისი ოჯახის აშშ-ში ჩასვლის შემდეგ იწყება, სადაც ჯერ ნიუ ორკის კოლეჯში დაიწყო სწავლა, მაგრამ

[3] ჰენრი კისინჯერი, იგივე ჰენრი ალფრედ კისინგერი, Henry Alfred Kissinger, იგივე Хайнц Áльфред Кúссингер დაიბადა 1923 წელს გერმანიაში, ქალაქ ფიურტში, ჩრდილოეთ ბავარიაში, შუა ფრანკონიის ადმინისტრაციულ განყოფილებაში. გვარი კისინჯერი გერმანიის ქალაქ ბად კისინგენიდან მოდის. მამამისი, ლუი კისინჯერი სკოლის მასწავლებელი იყო, ხოლო დედა, პაულა სტერნ კისინჯერი დიასახლისი. 1938 წელს, ნაცისტურ გერმანიაში დაწყებული დევნისგან თავის დაღწევის შემდეგ, კისინჯერების ოჯახი შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში წავიდა და ნიუ-იორკში დასახლდა.

1943 წელს ჯარში გაიწვიეს. ევროპაში ყოფნამ და ჯარში სამსახურმა, მომავალ ისტორიკოსსა და დიპლომატს, ბევრი რამ ასწავლა, დემილიტარიზაციის პროცეში გაწეული სამსახურისთვის აშშ-ს სარდლობისგან ბრინჯაოს მედალიც მიიღო, რითაც ყოველთვის ამაყობდა. კისინჯერის ცხოვრებაში მომდევნო ეტაპი ჰარვარდის უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლა იყო, რომელიც 1950 წელს წარჩინებით (summa cum laude) დაამთავრა, ხოლო მისი საბაკალვრო ნაშრომი ,,ისტორიის მნიშვნელობა; რეფლექსიები შპენგლერზე, ტოინბიზე და კანტზე“ (Kissinger 1950), შთამბეჭდავი აღმოჩნდა კომისიისთვის. ბაკალავრიატის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, კისინჯერმა ჰარვარდში დარჩენა და დოქტორის ხარისხის მოპოვება გადაწყვიტა, შესაბამისად, 1952 წელს მაგისტრის, ხოლო 1952 წელს დოქტორის ხარისხი მოიპოვა. მის სადოქტორო ნაშრომში „აღდგენილი მშვიდობა: მეტერნიხი, კასლრი და მშვიდობის პრობლემები 1812-1822 წწ“, კისინჯერი იკვლევდა ავსტრიელი დიპლომატის კლემენს ფონ მეტერნიხის მცდელობებს, ნაპოლეონის ომების შემდეგ, ევროპაში ლეგიტიმური საერთაშორისო წესრიგი ჩამოეყალიბებინა. მეტერნიხის პოლიტიკამ დიდი გავლენა მოახდინა კისინჯერის საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე, მისი ღრმა რწმენით, ნაკლოვანი მსოფლიო წესრიგიც კი, რევოლუციასა და ქაოსზე უკეთესი იყო.

კისინჯერის სადოქტორო ნაშრომი მოგვიანებით, 1957 წელს, წიგნად გამოქვეყნდა (Kissinger 1957), რომელშიც ავტორი განიხილავს ნაპოლეონის ომების შემდგომ პერიოდს, ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლთა მცდელობას შეექმნათ საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემა, რაც დღეს „ვენის სისტემის“ სახელითაა ცნობილი. ამ პროცესში მთავარი ფიგურები იყვნენ ავსტრიელი დიპლომატი კლემენს ფონ მეტერნიხი[4] და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კასლრი[5] (ზოგიერთი წაკითხვით კასტელეჰი). ნაშრომში

[4] კლემენს ფონ მეტერნიხი, იგივე კლემენს ვენცელ ლოთარ მეტერნიხი (1773 – 1859) პრინცი მეტერნიხი იყო ავსტრიის იმპერიის სამსახურში მყოფი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. კონსერვატორი მეტერნიხი სამი ათწლეულის განმავლობაში იმყოფებოდა ევროპული ძალთა ბალანსის ცენტრში, რომელიც ცნობილია როგორც „ევროპის კონცერტი“ - ეს არის მსოფლიო ისტორიაში საერთაშორისო უსაფრთხოების პირველი თანამშრომლობითი სისტემა, რომელიც ევროპაში 1815 წელს ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა. ამ სისტემის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი იყო კლემენს მეტერნიხი, რომელიც 1809 წლიდან იყო ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და მონაწილეობდა ვენის კონგრესში. მეტერნიხი 1921 წლიდან იყო ავსტრიის კანცლერი, სანამ 1848 წლის ლიბერალურმა რევოლუციებმა არ აიძულა გადამდგარიყო. კლემენს მეტერნიხი ერთი პირადი ისტორიით უკავშირდება საქართველოს, კერძოდ, ბაგრატიონების სამეფო დინასტიას. 1801-1803 წლებში მეტერნიხს საყვარლად ჰყავდა კატარინა, იგივე ქეთევან ბაგრატიონ - მუხრანსკი, რომელმაც მას ქალიშვილი მარია -კლემენტინა გაუჩინა (Palmer, Alan 1972)(Nadeau, Ryan, 2016).

[5] ლორდი კასლრი, იგივე კასლრი რობერტ სტიუარტი - დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1812-22 წლებში. კასლრი ცნობილია ასევე, როგორვ ვიკონტი კასლრი, მარკიზი ლონდონდერი. ნაპოლეონის დაცემის შემდეგ, ევროპაში მეტერნიხთან ერთად იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი, ვენის კონგრესზე წარმოადგენდა დიდ

ავტორი იკვლევს მათ როლს ევროპაში ძალთა ბალანსის შექმნასა და შენარჩუნებაში, ასევე იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ძალთა ბალანსის პოლიტიკის ავტორები იმ პერიოდში აღმოჩნდნენ. გამოწვევებს შორის კისინჯერი ასახელებს ნაციონალიზმის თემას, რევოლუციურ მოძრაობებსა და მასებში ცვლილებების სურვილს. „აღდგენილ მშვიდობაში“ კისინჯერი დეტალურად განიხილავს 1814 - 15 წლების ვენის კონგრესის მიმდინარეობას, მონაწილეთა შორის არსებულ დაპირისპირებებსა და წინააღმდეგობებს, ევროპულ ძალებს შორის განხორციელებულ ურთულრს დიპლომატიურ მანევრებსა და შეთანხმებებს, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობებში საფუძველი ჩაუყარა ახალ მსოფლიო წესრიგს (Kissinger 1957). მოგვიანებით, ამერიკელი მკვლევარი რობერტ კაპლანი აღნიშნავდა „ჰენრი კისინჯერის პირველი წიგნი, ნაპოლეონის ომების შესახებ, კისინჯერის საგარეო პოლიტიკას მის ნებისმიერ მემუარზე უკეთ ხსნის და მისი გენიალურობისა და ავტორიტეტის ადრეული დემონსტრირებაა (Kaplan, 1999).

ჰარვარდში სწავლის დროს ჰენრი კისინჯერი დაუახლოვდა ცნობილ ამერიკელ ისტორიკოსს, დიპლომატსა და პოლიტიკურ მოღვაწეს იანდელ ელიოტს[6] (William Yandell Elliott) რომელიც აშშ-ს 32-ე პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის მრჩევლი იყო. უნივერსიტეტში კისინჯერი ჩამოყალიბდა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსი და რეალ პოლიტიკის ერთ-ერთი აპოლოგეტი, რის გამოც ხშირად ყოფილა გაკრიტიკებული, როგორც კოლეგების, ასევე მედიის მხრიდან. ჰარვარდში მოღვაწეობამ მას ბევრი რამ მისცა. პირველ რიგში, აკადემიურ წრეებთან ჩამოუყალიბდა ისეთი მნიშვნელოვანი კავშირები, რასაც, შემდეგ, პრაქტიკული საქმიანობის დროს მოკლებული იყო, მაგრამ ეს კავშირები უსაფრთხოების მრჩევლისა და სახელმწიფო მდივნის თანამდებობებზე ყოფნის დროს ერთობ გამოადგა.

ბრიტანეთს. ქადაგებდა „ძალათა ბალანსის“ პოლიტიკას, უკიდურესად მტრულად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ. კასლრი რობერტ სტიუარტი იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანების მომხრე და გაერთიანებული სამეფოს შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი (Norman Gash, 2025). შეიძლება ითქვას, ლორდი კასლრი ინგლისის ისტორიაში არის ერთ-ერთი ტრაგიკული პოლიტიკური ფიგურა, რომელიც განუზომლად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ევროპაში (განსაკუთრებით ვენის კონგრესის დროს), მაგრამ არ უყვარდათ დიდ ბრიტანეტში.

[6] **იანდელ ელიოტი (**William Yandell Elliott) 1896 – 1979 წწ. - ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი. ამერიკის ექვსი პრეზიდენტის მრჩეველი. არაერთი წიგნის ავტორი. მრჩევლის სტატუსში ახლდა ფრანკლინ რუზველტს 1945 წლის იალტის კონფერენციაზე. ომის შემდეგ ელიოტი მსახურობდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში. ის იყო აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის რესპუბლიკელი რიჩარდ ნიქსონის წინასაარჩევნო კამპანიის სცენარისტი 1960 წლის არჩევნებში, მაგრამ დემოკრატმა პრეზიდენტებმა ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ და ლინდონ ჯონსონმა ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლად შეინარჩუნეს. აკადემიური მოღვაწეობას ეწეოდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც ჰარვარდის საზაფხულო სკოლის დეკანი იყო, იქვე დააარსა ჰარვარდის საერთაშორისო სემინარი, რომელსაც წარმატებით უძღვებოდა ჰენრი კისინჯერი (Shinagel, 2010: 52).

ჰენრი კისინჯერის ექსპანსიური ხასითი ითხოვდა აკადემიური, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალურ გარდასახვას და მას ამის შანსი მიეცა, როდესაც რიჩარდ ნიქსონმა თავის ადმინისტრაციაში მიიწვია. 1969 წლის 20 იანვრიდან 1975 წლის 3 ნოემბრამდე, იგი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწედ მუშაობდა, თავდაპირველად *რიჩარდ ნიქსონის,* შემდეგ კი *ჯერალდ ფორდის დროს.* 1973 წლის 22 სექტემბრიდან 1977 წლის 20 იანვრამდე, იკავებდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანამდებობას, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ უმაღლესი რანგის თანამდებობაა. ის იყო უცხოეთში დაბადებული პირველი მოქალაქე, რომელმაც ესოდენ მნიშვნელოვანი თანამდებობა დაიკავა აშშ-ს ისტორიაში, მისი გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე XX საუკუნის 60 - იანი და 70 -იანი წლებით არ დასრულებულა. რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს კისინჯერი ხელმძღვანელობდა ცენტრალური ამერიკის საკითხებში ეროვნულ ორპარტიულ კომისიას, რომლის შეხვედრებიც 1983-1985 წლებში იმართებოდა. 1984 წლიდან 1990 წლამდე იყო პრეზიდენტის საგარეო დაზვერვის საკონსულტაციო საბჭოს წევრი. შედიოდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკონსულტაციო საბჭოებში, როგორიც იყო ინტეგრირებული გრძელვადიანი სტრატეგიის კომისია (1986 – 1988წწ) და თავდაცვის პოლიტიკის საბჭო (2001 – 2012 წწ) (Lishingman 2012: 14-22).

კისინჯერის საქმიანობის ერთგვარი შეფასება იყო ყოველწლიური საერთაშორისო ჯილდოს ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება - 1973 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის გადაცემა, სამშვიდობო მოლაპარაკებებში შეუპოვრობის, გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. ოთხი წლის შემდეგ კისინჯერმა მიიღო თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი, ხოლო 1986 წელს - თავისუფლების მედალი.

კისინჯერის თანამდებობაზე ყოფნის ისტორია საერთაშრისო ურთიერთობების მკლევრებს შორის არაერთგავროვნად არის შეფასებული, რაც XX საუკუნის 70-იანი წლების მწვავე დებატების გამოძახილია, რომელშიც ასახულია ამერიკის ლიბერალური და კონსერვატიული პოლიტიკური წრეების დაპირისპირება. კისინჯერი, პოლიტიკაში რაციონალიზმისა და ზომიერების პოლიტიკის მომხრე იყო, მხარს უჭერდა აშშ-ის ხისტ და ამავდროულად რბილ მეთოდებს საგარეო პოლიტიკაში, რაც ქვეყნისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მომგებიანი იყო.

რაციონალიზმი ჰენრი კისინჯერის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი მახასიათებელი გახდა, რასაც, გარდა მეტერნიხსა და კასლრზე დაწერილი წიგნისა, ხელი XX საუკუნის 60-იანი წლების ამერიკის პოლიტიკურმა ცხოვრებამაც შეუწყო, რომელიც ვიეტნამის ომის აკომპანიმენტით მიმდინარეობდა. სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიიის ეს ქვეყანა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან „განხეთქილების ვაშლი“ აღმოჩნდა აშშ - ის და ჩინეთ - საბჭოთა კავშირს შორის. „კომუნიზმის შეკავების“ დოქტრინამ, ნებსით თუ უნებლიედ აშშ-ს უბიძ-

გა ჩაბმულიყო სამხრეთ და ჩრდილოეთ ვიეტნამს შორის კონფლიქტში, რომელიც შემდეგ ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზარდა და მასში ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოებიც (ლაოსი, კამბოჯა) აღმოჩნდნენ ჩათრეული. აშშ-სთვის ტონკინის 1964 ინციდენტი,[7] ფატალური აღმოჩნდა, ნაცვლად იოლი გასეირნებისა სახელმწიფო ჩათრეული იქნა მრავალწლიან ვეტნამის ომში[8]. აშშ-მ ვერ გაითვალისწინა, რომ ვიეტნამის უკან ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

---

[7]აშშ-ის შეიარაღებული აქცია, რომელიც 1964 წლის 4 აგვისტოს განხორციელდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში, ტონკინის ყურეში, რათა შეექმნათ საბაბი ვიეტნამის ტერიტორიაზე ამერიკის აგრესიის გაფართოებისათვის. აშშ-ის სამხედრო ხომალდების ჯგუფი იაპონიის პორტებიდან გამოვიდა და ვიეტნამის ტერიტორიას მიუახლოვდა და დაბომბვა დაიწყო, იმავდროულად ვაშინგტონს აცნობა, თითქოს ამერიკული მე-7 ფლოტის ხომალდებს თავს დაესხნენ ვიეტნამის სამხედრო კატერები. 5 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ტელევიზიით გამოსვლაში ტოსკინის ყურეში მომხდარი მოვლენები აღწერა და ბრძანება გასცა, მიეღოთ „საპასუხო ზომები“. იმავე დღეს ამერიკულმა თვითმფრინავებმა დაიწყეს ვდრ-ის ტერიტორიის დაბომბვა. 7 აგვისტოს ამერიკის კონგრესმა მიიღო ე.წ. „ტონკინის რეზოლუცია“, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტს უფლებას აძლევდა შეუზღუდავად გამოეყენებინა აშშ-ის შეიარაღებული ძალები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. რეზოლუციამ სათავე დაუდო აშშ-ის პირდაპირ აგრესიას ვიეტნამში (დიპლომატიური ლექსიკონი, 1999: 253).

[8] ვიეტნამის ომი, სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება მეორე სახელითაც „ინდოჩინეთის მეორე ომი“, ან „ამერიკა - ვიეტნამის 1964-1973 წლების ომი.“ ინდოჩინეთის პირველი ომი დაიწყო 1946 წელს, რომელიც ომში საფრანგეთის კავშირის დამარცხებით დამთავრდა და ვიეტნამმა დამოუკიდებლობა 1954 წლის ჟენევის კონფერენციაზე მოიპოვა, თუმცა მე-17 პარალელზე ორად გაიყო: ჰო ში მინის მეთაურობით ვიეტმინმა ჩრდილოეთ ვიეტნამი აიღო კონტროლის ქვეშ, ხოლო სამხრეთ ვიეტნამში აშშ-ს ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის შემდეგ ნგო დინ დიემმა აიღო ძალაუფლება. ჩრდილოეთ ვიეტნამელები ამარაგებდნენ და ხელმძღვანელობდნენ ვიეტ კონგს, სამხრეთ ვიეტნამის დისიდენტების საერთო ფრონტს, რომელთაც ქვეყნის გაერთიანება სურდათ. ამ მოძრაობამ 1957 წლიდან, სამხრეთ ვიეტნამში პარტიზანული ომი გაამწვავა. 1958 წელს ჩრდილოეთ ვიეტნამი ლაოსში შეიჭრა და ვიეტ კონგს ამარაგებდა ჰო ში მინის ბილიკებით. 1963 წლისთვის ჩრდილოეთმა, სამხრეთ ვიეტნამში, ფარულად გაგზავნა ვიეტნამის სახალხო არმიის 40 000 ჯარისკაცი, აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად, დასავლური სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ისინი შეიარაღებულნი იყვნენ საბჭოთა და ჩინური იარაღით. პრეზიდენტმა ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ (აშშ-ს პრეზიდენტი 1961-1963 წწ) აშშ-ის ჩართულობა 1960 წელს 900 სამხედრო მრჩევლიდან, 1963 წელს 16 000-მდე გაზარდა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის არმიას მეტი დახმარება გაუგზავნა, რამაც შედეგი ვერ გამოიღო. უფრო მეტიც, გაგზავნილი იარაღი სამხრეთ ვიეტნამში შიდასახელმწიფოებრივი გადატრიალებისთვის იქნა გამოყენებული და 1963 წელს ნგო დინ დიემი აშშ-ის მიერ მხარდაჭერილ სამხედრო გადატრიალების დროს მოკლეს, რამაც სამხრეთში არასტაბილურობა კიდევ უფრო გაამწვავა. 1964 წელს ტონკინის ყურის ინციდენტის შემდეგ, აშშ-ის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც პრეზიდენტ ლინდონ ბეინს ჯონსონს (აშშ-ის პრეზიდენტი 1963-1968 წწ) ომის გამოცხადების გარეშე სამხედრო ყოფნის გაზრდის უფლებამოსილებას ანიჭებდა. ჯონსონმა ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის კამპანია დაიწყო და საბრძოლო ჯარები გაგზავნა, რამაც მკვეთრად გაზარდა რეგიონში აშშ-ს სამხედრო ძალების რაოდენობა, რომელმაც 1966 წლისთვის 184 000-ს მიაღწია, ხოლო

იდგნენ თავისი უზარმაზრი სამხედრო და ადამიანური რესურსებით, ხოლო საომარი ტაქტიკა სრულიად განსხვავებული იყო, ვიდრე აშშ-ს ოდესმე შეხვედრია. ეს იყო პარტიზანული ომი, რომლის კარგად ორგანიზების შემთხვევაში შეუძლებელია მოწინააღმდეგის მხრიდან წარმატების მიღწევა და თუ მსგავსი მოხდებობა, ისიც მხოლოდ დროებით.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, აშშ-ს საზოგადოებასა და სამხედრო ელიტაში „ომით გადაღლის სინდრომი“ გაჩნდა, მომწიფდა მოსაზრება, რომ ვიეტნამის ომი უნდა დამთვრებულიყო, მაგრამ ისეთი ზესახელმწიფოსთვის, როგორიც არის აშშ, ის უნდა ყოფილიყო „საპატიო“ და არა კაპიტულაციური ხასიათის.

სწორედ ასეთი პირობებში გვევლინება ჰენრი კისინჯერი მთავარ „არქიტექტორად“ აშშ - ვიეტნამის მოლაპარაკების პროცესში, რომელიც პარიზში მიმდინარეობდა. რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაციის მთავარი გზავნილი იყო ამერიკის ომიდან გამოსვლა არა იმიტომ, რომ ეს ომი აშშ-სთვის რეპუტაციულად დამაზიანებლი, არამედ მსოფლიოში მიმდინარე სხვა პოლიტიკური პროცესებისადმი, აშშ-ს სხვა პრიორიტეტები გაუჩნდა რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ვიეტნამის ომის გაგრძელება. ეს პრიორიტეტები იყო ჩინეთთან დაახლოების პროცესის დასაწყისი, მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები და საბჭოთა კავშირთან მოლაპრაკებების დაწყება ბირთვული საფრთხეების შემცირებასთან დაკავშირებით (Lishingman, 2012:14-22).

აშშ - ვიეტნამის მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის პარიზის შეთანხმებით 1973 წელს დასრულდა.[9] ეს წერტილს უსვამდა ათწლიან კონფრონტაციას. მეო-

---

1969 წლისთვის 536 000-მდე ავიდა. აშშ-ის ძალები ჩრდილოეთ ვიეტნამის სოფლის რაიონებში სამძებრო და გამანადგურებელი ოპერაციების ჩასატარებლად საჰაერო და უზარმაზარ ცეცხლსასროლ ძალას ეყრდნობოდნენ. ლინდონ ჯონსონის მემკვიდრემ, რიჩარდ ნიქსონმა, 1969 წლიდან „ვიეტნამიზაცია“ დაიწყო, რომლის დროსაც უნდა მომხდარიყო სამხრეთ ვიეტნამის ჯარების გაფართოება, ხოლო აშშ-ს ძალები რეგიონიდან უნდა გასულიყვნენ. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, „ვიეტნამიზაციამ“ ვერ შეუშალა ხელი აშშ-ს მხარდაჭერილი საიგონის საბოლოოდ დაცემას და ვიეტნამის გაერთიანებას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ქვეშ. ეს იყო ამ პოლიტიკის საბოლოო წარუმატებლობა. 1972 წლისთვის აშშ-ის სამხედრო ძალების დიდი ნაწილი ვიეტნამიდან გავიდნენ, ხოლო 1973 წლის პარიზის სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, სრულად დატოვეს რეგიონი. შეთანხმებები დაირღვა და ბრძოლები გაგრძელდა 1975 წლის გაზაფხულამდე, ვიდრე ჩრდილოეთ ვიეტნამის ჯარებმა სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქი საიგონი ხელში არ ჩაიგდეს და საიგონს ხო ში მინი უწოდეს. ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამი 1976 წელს გაერთიანდა. ვეიტნამის ომზე დეტალურად იხილეთ (Kissinger 1975; Asselin 2024; Lomperis 1996; Nalty 1998; და სხვ,).

[9] პარიზის შეთანხმებას ხელი მოაწერეს 1973 წლის 27 იანვარს, პარიზში, ოთხი მეომარი ქვეყნის: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის, ამერიკის შეერთებული შტატების და ვიეტნამის რესპუბლიკის (საიგონის ადმინისტრაციის) საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ითვალისწი-

რე საკითხი რომელიც ამერიკული დიპლომატიის წინაშე იდგა, იყო ჩინეთის საკითხი. მიუხედავდ ჩინეთის იზოლაციონისტური მდგომარეობისა ის საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მოთამაშე იყო. კორეის და ვიეტნამის ომებმა აშშ-ს დაანახა რომ ჩინეთი რეგიონის უმნიშვნელოვანესი აქტორი იყო (Kissinger,1979: 19-20).[10] აღსანიშნავია, რომ კისინჯერი თავიდან სკეპტიკურად უყურებდა ჩინეთთან ურთიერთობების აღდგენას, მაგრამ რიჩარდ ნიქსონი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ჩინეთთან ურთიერთობების აღდგენა, მისი გათვლა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის იდეოლოგიური დაპირისპირებაზე იყო აგებული. ცნობილია, რომ ამ დაპირისპირებას ჯერ კიდევ, სტალინის გარდაცვალების (1953) შემდეგ ჩაეყარა საფუძველი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე საბოლოოდ გაფორმდა (Кулик, 2002: 79). ეს დაპირისპირება მოგვიანებით, ჩინეთის მხრიდან ტერიტორიულ პრეტენზიებშიც გადაიზარდა, რასაც შორეულ აღმოსავლეთში მდინარე უსურიისკზე ცნობილი დამანსკის 1969 წლის მარტის ინციდენტი[11] მოყვა (Петров 2017:8).

რიჩარდ ნიქსონი ვარაუდობდა ჩინეთის გამოყენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გეოპოლიტიკური ბალანსის შესაქმნელად, გარდა ამისა, ნიქსონის და კისინჯერის გეოპოლიტიკური ხედვა ეყრდნობოდა პოლიტიკურ რეალიზმს – რომ საერთაშორისო ურთიერთობები ეფუძნება ძალაუფლების ბალანსს და ინტერესების თანხვედრას. მათ სჯეროდათ, რომ ურთიერთობა ჩინეთთან გლობალურ წესრიგში ახალ სტაბილურობას შეიტანდა და აშშ-ს საშუალებას მისცემდა, უფრო მოქნილად ემოქმედა. თუ აშშ შეძლებდა ჩინეთთან დაახლოებას, ეს ნიშნავდა რომ ღირსეულად დაამთავრებდა ომს ვიეტნამში, რადგან ჩინეთს დიდი

ნებდა სამხრეთ ვიეტნამში საომარი მოქმედების და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აშშ-ის ყველა ოპერაციის შეწყვეტას, სამხრეთ ვიეტნამიდან ყველა უცხოური ჯარის გაყვანას და იქ არსებული ამერიკის სამხედრო ბაზების დემონტაჟს, სამხედრო ტყვეების ორმხრივ დაბრუნებას, სამხრეთ ვიეტნამში საერთაშორისო კონტროლით არჩევნების ჩატარებას და ვიეტნამის თანამიმდევრულ მშვიდობიან გაერთიანებას (დეტალურად იხილეთ: United Nations — Treaty Series, 1974).

[10] კისიჯერი თავის წიგნში White House Years საკმაოდ დეტალურად აღწერს თუ რა პირობებში მოხდა ჩინეთთან დაახლოების პროცესი და როგორ აფსებდა ამერიკული მხარე ამ ნაბიჯს (Kissinger 1979).

[11] დამანსკის ინცინდენტი - ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სასაზღვრო კონფლიქტი დამანსკის კუნძულზე, შეიარაღებული შეტაკება სსრკ-სა და ჩინეთს შორის მიმდინარეობდა 1969 წლის 2 - 15 მარტს, დამანსკის კუნძულის ტერიტორიაზე, მდინარე უსურზე, ხაბაროვსკიდან სამხრეთით 230 კმ-ში. 1969 წლის 2 მარტს, ღამით, სამასამდე ჩინელი მებრძოლი გადასხდა კუნძულ დამანსკზე, ბრძოლა გარდამავლი უპირატესობით მიმდინარეობდა, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სსრკ-მ ამ დროს პირველად გამოიყენა ზალპური ცეცხლის სისტემა "БМ-21 Град", რომელიც 1960-იან წლებში შეიქმნა. იმ ეტაპზე ამან გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. ცეცხლი შეწყდა 1969 წლის სექტემბერში, ხოლო მოლაპარაკებები ოქტომბერში დაიწყო. საბჭოთა კავშირმა შეძლო კუნძულის შენარჩუნება, მაგრამ 1991 წლიდან კუნძულზე პრეტენზიები კვლავ განახლდა ჩინეთის მხრიდან, 2004 წელს ჩინეთამ რუსეთის ფედერაციასთან შეთანხმებას მიაღწია და კუნძული საბოლოოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იურისდიქციაში გადავიდა.

გავლენა ჰქონდა ჩრდილოეთ ვიეტნამზე, გაცილებით მეტი, ვიდრე საბჭოთა კავშირს. ამის შემდეგ იწყება ჰენრი კისიჯერის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული დიპლომატიური სვლები ჩინეთთან ურთიერთობების აღდგენისა და რიჩარდ ნიქსონის ოფიციალური ვიზიტის დასაგეგმად პეკინში. პირველი ისტორიული ვიზიტი 1971 წლის ივნისში[12] განხორციელდა და მას ჰენრი კისინჯერი ხელმძღვანელობდა, ის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ - ერთი წარმატებული რომელსაც ორ ქვეყანს შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობაც მოყვა (Memorandum of Conversation 1971).

პეკინში, აშშ-ჩინეთის პირველ მოლაპარაკებებში აშშ-ს მხრიდან მონაწილეობდნენ: ჰენრი კისინჯერი, აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში; ჯონ ჰოლდრიჯი, აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფროსი თანამშრომელი და უინსტონ ლორდი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფროსი თანამშრომელი. ჩინეთის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: ჯოუ ენლაი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი; იე ჩიენ-იინგი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ჰუანგ ჰუა, ჩინეთის ელჩი კანადაში (აშშ-ში მაშინ ჩინეთს ელჩი არ ჰყავდა - ო.ა) ; ჩანგ ვენ-ჩინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი (Memorandum of Conversation 1971).

მოგვიანებით ჰენრი კისინჯერმა აღნიშნა, რომ ჩინეთან ურთიერთობების აღდგენა დამასკოს ინციდენტის[13] დამსახურება იყო, რადგან ჩინეთიც და საბჭოთა კავშირიც ითხოვდნენ აშშ რეაქციას სირიაში იმ დროს მიმდინარე მოვლენებზე, სწორედ ამ ფონზე დაიგეგმა აშშ-ს დაახლოების პოლიტიკა რომელმაც გარდატეხა მოახდინა ორ ქვეყნას შორის ურთიერთობებში (Kissinger 1979:19). კისინჯერის დაგეგმილ ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკას, მართლაც რეზონანსეული შედეგი ჰქონდა, 1972 წლის თებერვალში რიჩარდ ნიქსონი, მეუღლესთან ერთად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია, სადაც მას საკმაოდ თბილი შეხვედრა გაუმართეს, არც სადღეგრძელოები მოაკლეს და ჩინეთის კედელიც დაათვალიერებინეს. ნიქსონი ერთხელ შეხვდა ჩინეთის მბრძანებელს მაო ძედუნს და რამდენჯერმე მოქნილ და პრაგმატულ პრემიერ მინისრს ჯოუ ენლაის, რომელიც ჩინეთის დასავლეთთან თანამშრომლობის სულისჩამდგმელი იყო. ამის შედეგად გამოქვეყნდა „შანხაის კომუნიკე“, რომელშიც გაცხადებული იყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის შესახებ. ადრე დაპირისპირებულ

[12] Office of the Historian. Foreign Relations of the United States, 1969–1976, Volume XVII, China, 1969–1972. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v17/d139

[13] ჰენრი კისინჯერი დამასკოს ინცინდენტში გულისხმობს სირიაში 1970 წლის 13 ნოემბერს ჰაფეზ ალ-ასადის ბრძანებით სირიის პრეზიდენტის ნურ ად-დინ ალ-ათასისა და ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის, სალაჰ ჯადიდის დაპატიმრებას. ამიერიდან სირიის სათავეში მოვიდა ჰაფეზ ალ-ასადი, რომელიც 1971 წლამდე პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა (სონღულაშვილი, 2021: 304-304)

ქვეყნებს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. ამავე დროს, ამერიკამ გარკვეულწილად აღიარა ერთი ჩინეთის პოლიტიკა, რაც ტაივანის ნაკლებ მხარდაჭერას ნიშნავდა. თუმცა ეს მოკავშირე არასოდეს მიუტოვებია და დღემდე ეხმარება მას (კაჭარავა, 2021: 24).

ჰენრი კისინჯერისთვის ჩინეთი ერთგვარი დიდი „სიყვარულიც „ აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აშშ-ის და ჩინეთის დაახლოების პროცესმა ჩინეთს უბიძგა ეკონომიკურ რეფორმირებაზე, რომელიც მაო ძედუნის შემდეგ დენ სიაოპინმა განახორციელა. უფრო მეტიც, კისინჯერი ერთგვარი ლობისტიც გახდა ჩინეთის, რომლის შედეგიც დღეს სახეზეა. 2011 წელს ჩინეთზე გამოქვეყნებული წიგნის შესავლში ჰენრი კისინჯერი წერს, რომ „ჩინეთში ჩემი პირველი ვიზიტის შემდეგ, ქვეყანა ეკონომიკურ ზესახელმწიფოდ და გლობალური პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად იქცა. შეერთებული შტატები ცივი ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა მსოფლიო მშვიდობისა და საერთო კეთილდღეობის შენარჩუნების ცენტრალურ როლს თამაშობს“ (Kissinger 2011: 1). აქვე დავძენთ, რომ ჩინეთ - ამერიკის ურთიერთობების დინამიკა დღეს შეცვლილია და ის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფაზაში შევიდა, რადგან ჩინეთის მნიშვნელობა დღევანდელ გლობალურ სამყაროში განუზომლად გაიზარდა, ვიდრე ეს 2011 წელს იყო. ჰენრი კისინჯერის შეხედულებით, სწორედ ეს ორი ქვეყანა განსაზღვრავს მომავალი მსოფლიოს განვითრებას. საინტერესოა, რომ ჩინეთშიც დიდად აფასებენ კისინჯერის როლს და ადგილს ჩინეთის უახლეს ისტორიაში და მის მოსაზრებებს ჩინეთ - ამერიკის ურთიერთობებისა და გლობალური სამყაროს უსაფრთხოების შესახებ დღემდე იზიარებენ და ინტერესით განიხილავენ.[14]

1971 წელს დაწყებული ჩინეთ - ამერიკის დაახლოების შემდეგ, ჰენრი კისინჯერმა არანაკლებ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების დარეგულირებაში, რომელსაც ასევე რიჩარდ ნიქსონის დროს ჩაეყარა საფუძველი და გაგრძელდა ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის დროს. შეიძლება ითქვას, რომ კისინჯერმა უპირატესობა მიანიჭა და საფუძველი ჩაუყარა დიალოგის პოლიტიკას აშშ - ჩინეთისა და აშშ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ცივი ომის ყველაზე რთულ პერიოდშიც „კარიბის კრიზისის“[15] დროს მხარეებმა გამონახეს კო-

---

[14] 2023 წლის ივლისში, ჰენრი კისინჯერი, რომელსაც იმავე წლის მაისში 100 წელი შეუსრულდა, ვიზიტით იმყოფებოდა პეკინში, სადაც ჩინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს სი ძიპინს და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდა. მხცოვანი დიპლომატის ვიზიტი არ იყო ცერემონიალური ხასიათის. როგორც მედია წერდა, კისინჯერი და ჩინეთის პირველი პირები განიხილავდნენ აშშ - ჩინეთის ურთიერთობების საკითხს რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე გარკვეულ კრიზისს განიცდის.

[15] კარიბის კრიზისი აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ცივი ომის ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტი, რომელიც დაიწყო 1962 წლის 14 ოქტომბერს და განიმუხტა

მპრომისი და მსოფლიო გადაურჩა აპოკალიფსს, მაგრამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობა მაღალი იყო. ორივე ზესახელმწიფო გამალებული შეიარაღების პროცესში იყო და მიიჩნევდა, რომ საკუთარი და მისი მოკავშირეების უსაფრთხოება სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული იარაღის არსებული სახეობების განუწყვეტელი სრულყოფის გზით ახალი ნიმუშების შექმნა - დანერგვაში იყო. 60 -იან წლების ბოლოს ორივე მხარეს დაუგროვდა ბირთვული იარაღის უზარმაზარი არსენალი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გაუფრთხილებლადაც ყოფილიყო გამოყენებული. გარდა ამისა, ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ფონზე, აშშ-სთვის მნიშვნელოვანი იყო გარკვეული პოლიტიკური ბალანსის არსებობა საბჭოთა კავშირთან. აშშ-ის მოკავშირეებიც აცნობიერებდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან საჭირო იყო გარკვეული დათმობები და უსაფრთხოების სისტემის განმტკიცება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფო, დიდი ხნის განმავლობაში უარს აცხადებდა იმ საზღვრების აღიარებაზე რომელიც ჩამოყალიბდა „დიდი სამეულის“ გადაწყვეტილებების შედეგად, თუმცა დასავლეთ გერმანიაში სოციალ - დემოკრტების ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად იწყება „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ განხორციელება, რომლის ავტორიც, დასავლეთ გერმანიის კანცლერი ვილი ბრანდტი[16] იყო. ახალმა „აღმოსავლურმა პოლიტიკამ,“[17] გერმანელი სოციალ - დემოკრატებისა და მისი ლიდერის მეშვეობით, გარკვეულწილად მოამზადა ნიადაგი, რათა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული იარაღის შემცირებაზე დაწყებულიყო დიალოგი, მეორეს მხრივ, რიჩარდ ნიქ-

---

1962 წლის 23 ოქტომბერს. მისი წინარე ისტორია დაკავშირებულია 1959 წელს აშშ-ს მიერ იტალიასა და თურქეთში ატომური რაკეტების განთავსებასთან, რომელთა სავარაუდო მიზანი საბჭოთა კავშირის სამხრეთი რეგიონები იყო. 1962 წლის აპრილში თურქეთში განლაგებული ამერიკული რაკეტები საბრძოლო სისტემაში იყო მოყვანილი. საბჭოთა კავშირმა ეს ნაბიჯი მისი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად შეაფასა და კუბაში, 1962 წელს წამოიწყო ოპერაცია „ანადირის“ განხორციელება (კარიბის კრიზისზე იხილეთ განსხვავებული შეხედულებები: Colman 2016; Лавренов, Попов 2003).

[16] ვილი ბრანდტი - ჰერბერტ ერნსტ კარლ ფრამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი 1969-1974 წლებში.

[17] გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანიის) კანცლერის ვილი ბრანდტის „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ მიზანი „ცივი ომის“ დაძაბულობის განმუხტვა იყო. 1970 წლის 12 აგვისტოს ვილი ბრანდტი მოსკოვს ეწვია. ფედერალური მთავრობის მეთაურმა ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აღიარებდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ჩამოყალიბებულ საზღვრებს, მათ ურღვევობას და გამოთქვამდნენ მზაობას ურთიერთთანამშრომლობისთვის. „ახალი აღმოსავლეთის პოლიტიკის“ ფარგლებში დასავლეთ გერმანიამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ 1970 წლის 7 დეკემბერს გააფორმა ვარშავის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დასავლეთ გერმანიამ ოფიციალურად აღიარა პოლონეთ-გერმანიის საზღვარი, რომელიც მდინარეების ოდერისა და ნაისის ხაზსს ემთხვევა.

სონი[18] საბჭოთა ლიდერებთან სარგებლობდა დიდი ნდობით, განსაკუთრებით ლეონიდ ბრეჟნევთან, რაც აუცილებელი წინაპირობაა პოლიტიკური შეთანხმებების მისაღწევად.

რა იყო ნიქსონის პოლიტიკის მიზანი და როგორ შეძლო კისინჯერმა მისი რეალიზება? ნიქსონის პოლიტიკის მიზანი იყო ბირთვული საფრთხის შემცირება, ვიეტნამის ომიდან ღირსეული გამოსვლა და გამალებული შეიარაღების შემცირება. ბირთვული საფრთხის შემცირების აუცილებლობამ და აშშ-ის ჩინეთთან დაახლოებამ საბჭოთა კავშირს მოლაპარაკებებისკენ უბიძგა, ხოლო ვიეტნამის საკითხში ორივე მხარე ომის დასრულების მომხრე იყო, ეს რიჩარდ ნიქსონის ინტერესებშიც შედიოდა, მას ვიეტნამის საკითხში მოსკოვის მხარდაჭერა სჭირდებოდა, რადგან ჩრდილოეთ ვიეტნამის სპონსორი ჩინეთთან ერთად, საბჭოთა კავშირიც იყო. აშშ-ის მაშინდელი საგარეო პოლიტიკური კურსი ეყრდნობოდა ნიქსონ-კისინჯერის რეალიზმს და realpolitik-ის[19] პრინციპებს, რომლის მიხედვით, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს ინტერესებს და არა იდეოლოგიას. ნიქსონის ადმინისტრაციამ სსრკ-ის მიმართ ისუ-

---

[18] რიჩარდ ნიქსონი ჯერ კიდევ ნიკიტა ხრუშოვის მართველობის დროს, 1959 წელს, აშშ-ის ვიცე პრეზიდენტის რანგში ეწვია მოსკოვს. თუმცა ნიქსონი სსრკ-ში პირველად 1925 წელს ჩავიდა, როდესაც ის 12 წლის ბიჭი იყო. მისი მშობლები, ფრენსის და ჰანა მილჰაუს ნიქსონები, ურალში, დეგტიარსკის სპილენძის მაღაროში ჩავიდნენ, სადაც უცხოური კომპანიები კონცესიით მუშაობდნენ. ნიქსონის მშობლები მადნის საბადოებიდან ოქროს მოპოვებაზე მუშაობდნენ, რაც საბჭოთა ხელოსნებმა ჯერ არ იცოდნენ და ოქროს ძიებით დაინტერესებულმა ამერიკელებმა სიამოვნებით დაიწყეს ასეთი სამუშაოს შესრულება (Сапронова, Комова, 2016).

[19] Realpolitik – რეალპოლიტიკა (გერმანული - real, „რეალისტური, პრაქტიკული, ფაქტობრივი“ და ბერძნული Politik, „პოლიტიკა“) არის სახელმწიფოებრივი დიპლომატიური ან პოლიტიკური წარმოების მიდგომა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია მოცემული გარემოებებისა და ფაქტორების განხილვაზე და არა მკაცრად მორალური ან ეთიკური წინაპირობების დაცვაზე. ამ მხრივ, იგი თავისი ფილოსოფიური მიდგომის ასპექტებს იზიარებს რეალიზმისა და პრაგმატიზმის ასპექტებთან ერთად. რეალპოლიტიკა ოტო ფონ ბისმარკმა შემოიღო და განახორციელა, ხოლო სახელი ლუდვიგ ფონ როხაუს მიერ შემოთავაზებული კონცეფციის ანალოგიით დაერქვა, რომელიც 1853 წელს გამოქვეყნებული წიგნით Grundsätze der Realpolitik angewendet auf die staatlichen Zustände Deutschlands, გააცნო საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად გამოიყენება როგორც დადებითი ან ნეიტრალური ტერმინი, რეალპოლიტიკა გამოიყენება იმ პოლიტიკის აღსანიშნავად, რომელიც აღიქმება, როგორც იძულებითი, ამორალური ან მაკიაველისტური. რეალპოლიტიკის გამოჩენილი მომხრეები არიან ოტო ფონ ბისმარკი, ჯორჯ ფროსტ ქენანი, რიჩარდ ნიქსონი, ჰენრი კისინჯერი, ჯორჯ ბუში უფროსი, ზბიგნევ ბჟეზინსკი, ჰანს-დიტრიხ გენშერი, დენ სიაოპინი, შარლ დე გოლი და სხვები. რეალპოლიტიკის საპირისპიროა Idealpolitik. იდეალიზმი საგარეო პოლიტიკის კონტექსტში ამტკიცებს, რომ ეროვნულმა სახელმწიფომ საერთაშორისო ურთიერთობებში თავისი ქცევისა და რიტორიკის მიზნად შიდა პოლიტიკური ფილოსოფია უნდა აქციოს. მაგალითად, იდეალისტი შეიძლება თვლიდეს, რომ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა საზღვარგარეთ სიღარიბის დაძლევასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგ. აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი იდეალიზმის ადრეულ მიმდევრად ითვლება.

რვა არა მტრობა, არამედ გეოპოლიტიკური ბალანსი და ინტერესთა შეჯერება, რომელმაც თავისი შედეგი მოიტანა. ჰენრი კისინჯერი მემუარებში იხსებს, რომ „ამერიკა-საბჭოთა კავშირის დიალოგის მიზანი იყო არა მეგობრობა, არამედ ურთიერთობების სტაბილიზაცია და სამხედრო ბალანსის მართვა, რათა თავიდან აგვეცილებინა გაუთვლელი ესკალაცია“ (Kissinger 1979: 709. ნიქსონ-კისინჯერის ხედვები საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ დეტანტის[20] პოლიტიკის ნაწილი იყო. საბოლოოდ, რიჩარდ ნიქსონის ისტორიული ვიზიტი მოსკოვში 1972 წლის მაისში განხორციელდა[21] და იმავე წელს ხელმოწერილ იქნა ორი შეთანხმება: 1. სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულება (SALT I 1972) და 2. ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო ხელშეკრულება (ABM Treaty). პირველი შეთანხმების შესახებ ჰენრი კისინჯერი წერდა, რომ „ეს არ იყო ნდობაზე დაფუძნებული შეთანხმება, არამედ ძალთა ბალანსის შენარჩუნების მექანიზმი (Kissinger 1979: 1190), ხოლო მეორე შეთანხმება „ბალისტიკური თავდაცვითი სისტემების შეზღუდვა“ ამყარებდა ბირთვული შეკავების სტრატეგიას (Kissinger 1979:1194).“ საუბრობს რა მოსკოვის მოლაპრაკებებზე კისინჯერი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას რომ „საბჭოთა კავშირის მხრიდან მკაცრი მომლაპარაკებლები იყვნენ, მაგრამ მათ მომენტის სიმძიმე გააცნობიერეს. კრემლში ამერიკელი პრეზიდენტის სიმბოლიზმი არავის არ გამორჩენია“ (Kissinger 1979: 1201).

ჰენრი კისინჯერის აზრით, მოსკოვის შეთანხმებები აშშ-ისთვის მომგებიანი იყო, რადგან „მოსკოვთან ურთიერთობების სტაბილიზაციით, ჩვენ მოვიპოვეთ მანევრირების სივრცე აზიაში და სანდოობა ევროპაში“ (Kissinger 1979: 1225).

როგორ გახდა შესაძლებელი ოთხ წელიწადში ასეთი შთამბეჭდავი შედეგების მიღწევა ? ჩვენი აზრით, 1969–1973 წლებში აშშ-ს საგარეო პოლიტიკამ შეძლო დაეძლია იდეოლოგიური კლიშეები და დიალოგის გზით მიაღწია გარღვევებს. ოსტატურად გამოიყენა გლობალური დაყოფის ახალი ფაზა (ჩინეთ - საბჭოთა კავშირის დაპირისპირება), მოახდინა პრაგმატული და არა იდეოლოგიური პოლიტიკის ინტეგრირება (realpolitik), განახორციელა ინოვაციური, ფარული დიპლომატია, იმოქმედა ძლიერი და ცენტრალიზებული ლიდერობით (ნიქსონი-კისინჯერი) და დააყენა ინტერესები იდეოლოგიაზე მაღლა.

საგარეო პოლიტიკაში ასეთ წარმატებას რიჩარდ ნიქსონი შემდეგნაირად აღწერს „რომ ძლიერების გზით მშვიდობის მისაღწევად, ჩინეთისთვის კარი უნდა გაგვეღო და საბჭოთა კავშირთან ახალი ურთიერთობა აგვეშენებინა“ (Nixon 1978: 547).

---

[20] დეტანტის პოლიტიკა - ერთგვარი „განმუხტვის“, ზომიერების პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია დაძაბულობის შენელებასთან საერთაშორისო ურთიერთობებში (ტერმინი მიღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში). მას პრეზიდენტ ნიქსონისა და ჰენრი კისინჯერის სახელს უკავშირებენ.

[21] საერთო ჯამში ნიქსონი, ოფიციალური ვიზიტებით, ათჯერ იყო ჯერ საბჭოთა კავშირში, ხოლო შემდეგ რუსეთის ფედერაციაში.

ამ წარმატებებს ახლდა სხვა გლობალური მიღწევებიც. ჰენრი კისინჯერის თანამდებობაზე ყოფნის დროს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რატიფიცირება გაუკეთა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციას და ჰელსინკის საბოლოო აქტს. სწორედ კისინჯერმა, ჯოუ ენლაისთან ერთად, გახსნა დიპლომატიური კომუნიკაციები შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, რაც სავარაუდოდ, ცივი ომის ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი იყო. სწორედ კისინჯერმა მოაწყო მოლაპარაკებები არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის იომ ქიფურის ომის[22] დასრულების შესახებ და მისმა დიპლომატიამ გზა გაუხსნა კემპ-დევიდის შეთანხმებებს.[23]

მიუხედავად ამისა, უცხოელი ლიდერები კისინჯერს არა მხოლოდ მისი მიღწევების გამო მიმართავდნენ კონსულტაციისთვის. მას უფრო მეტად აფასებდნენ საერთაშორისო სისტემის ევოლუციის კონცეპტუალური განვითარებისა ხედვებისა და ანალიტიკურად აზროვნების შეუდარებელი უნარის გამო.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ნაილ ფერგიუსონი ჰენრი კისინჯერზე წერდა, „კისინჯერი ტრადიციულად რეალიზმთან ასოცირდება, ფილოსოფიასთან, რომელიც ხასიათდება საგარეო პოლიტიკის ცივი შეფასებით ეროვნული ინტერესების მკაცრი შუქის ფონზე (Ferguson 2015$_1$). მიუხედავად ამისა, 1983 წელს, კისინჯერის ყოფილმა ჰარვარდელმა კოლეგამ, სტენლი ჰოფმანმა,[24]კისინჯერი მაკიაველისტად შერაცხა, „რომელიც თვლის, რომ სახელმწიფოს შენარჩუნება... მოითხოვს როგორც დაუნდობლობას, ასევე მოტყუებას საგარეო და შიდა მოწინააღმდეგეების ხარჯზე“ (Ferguson 2015$_2$).

ცნობილია, რომ პრაქტიკული დიპლომატია განსხვავდება თეორიულისგან ამასთან დაკვშირებით გვინდა ავღნიშნოთ ჰანს მორგეთაუს დამოკიდებულება კისინჯერისადმი. მორგენტაუ თავიდან კისინჯერს დადებითად აფასებდა, განსაკუთრებით მის აკადემიურ ნაშრომს A World Restored: Metternich, Castlereagh and the Problems of Peace, 1812-22 (1957), რომელიც მეტერნიხის და კასტლის დიპლომატიას ეხება და ზემოთ ვისაუბრეთ. „კისინჯერი მკაფიოდ აცნობიერებს ძალთა ბალანსის მნიშვნელობას დიპლომატიაში და არ ილუზირებს იდეალისტუ-

---

[22] იომ ქიფურის ომი მიმდინარეობდა 1973 წლის 6 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე არაბეთ-ისრაელს შორის. ეს იყო ომი ისრაელსა და ეგვიპტე-სირიის კოალიციას შორის. ომში ისრაელის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის დაწყება, რომელიც კემპ დევიდის შეთანხმებით დასრულდა.

[23] კემპ-დევიდის შეთანხმება - სამშვიდობო ხელშეკრულების წინასწარი შეთანხმება ეგვიპტე-ისრაელს შორის, რომელსაც ხელი მოეწერა 1978 წლის 17 სექტემბერს კემპ-დევიდის საპრეზიდენტო რეზიდენციაში (აშშ), ხოლო 1979 წლის 26 მარტს ვაშინგტონში მენაჰემ ბეგინმა და ანვარ სადათმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას ისრაელსა და ეგვიპტეს შორის (Camp David Accords (1978).

[24] სტენლი ჰოფმანი (Stanley Hoffmann), 1928 – 2015 წწ. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი გავლენიანი თეორეტიკოსი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, კისინჯერის ოპონენტი რეალ პოლიტიკის ხისტი მიდგომების მიმართ.

რი ფასეულობებით“ წერდა მორგენთაუ თავის სალექციო ჩანაწერებში (Morgenthau 2006:243). შემდგომში როდესაც კისინჯერმა აღმასრულებლ ხელისუფლებაში გადაინაცვლა, მორგენთაუ არ მოერიდა მის კრიტიკას და ამბობდა რომ „კისინჯერი რეალისტია, მაგრამ მხოლოდ ძალაუფლებას ახანგრძლივებს და უგულებელყოფს მორალურ საფუძვლებს და პოლიტიკური ქმედების ეთიკას.“ კიდევ უფრო შორს წავიდა მორგენთაუ, როცა დაწერა „რეალიზმი მორალურ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, მაშინ როცა კისინჯერის პოლიტიკა ხშირად ამორალურია, როცა მორალი მთლიანად წყდება ძალაუფლების ანალიზს, ვიღებთ პოლიტიკას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს, მაგრამ ღირებულების გარეშე“ (Morgenthau 2006:243).

როგორც ნაილ ფერგიუსონი წერს, მიუხედავად კრიტიკისა კისინჯერის რეალ პოლიტიკა ეფუძნებოდა ოთხ ძირითად ხედვას, რომელთა შესწავლაც ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწისთვის კარგი იქნებოდა: 1. ისტორია მეტოქეებისა და მოკავშირეების გაგების გასაღებია; 2. ვარაუდის პრობლემას უნდა შევხვდეთ მისი ასიმეტრიული შედეგებით; 3.საგარეო პოლიტიკის მრავალი გადაწყვეტილება არის არჩევანი ბოროტებას შორის; და 4. ლიდერები ფრთხილად უნდა იყვნენ მორალურად ცარიელი რეალიზმის საფრთხეების მიმართ“ (Ferguson (2015$_2$).

ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის პერიოდში, ჰენრი კისინჯერი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. მიუხედავად იმისა, რომ ფორდი ძალაუფლებაში შემთხვევით აღმოჩნდა (ნიქსონის გადადგომის შემდეგ, უოთერგეიტის სკანდალის ფონზე), კისინჯერმა შეინარჩუნა სახელმწიფო მდივნის თანამდებობა და დარჩა როგორც პრეზიდენტის მთავარი სტრატეგი გლობალურ საკითხებში. ამ პერიოდში საგარეო პოლიტიკა გახდა ფორდის ადმინისტრაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფოკუსი, რადგან შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები თეთრ სახლს უკარგავდა ლიდერობას ქვეყნის შიგნით.

კისინჯერის საქმიანობა ამ პერიოდში ორი ძირითადი მიმართულებით შეიძლება შეფასდეს: დეტანტის შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან და მოსავლის დიპლომატიის[25] გაღრმავება ახლო აღმოსავლეთში. მისი ხედვის საფუძველს ისევ ძალთა ბალანსი და გეოპოლიტიკური სტაბილურობის კონცეპტი წარმოადგენდა. კისინჯერის აზრით, მსოფლიო ვერ იქნებოდა უსაფრთხო, თუ ბირთვული სუპერ-სახელმწიფოები ურთიერთობებს კონფლიქტის ფარგლებში გააგრძელებდნენ (Lishingman 2012: 14-22).

---

[25] **მოსავლის დიპლომატია** მოსავლის დიპლომატია ნიშნავს ქვეყნის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოყენებას საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც პარტნიორობის გაღრმავებისა და ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის ინსტრუმენტს. იგი რბილი ძალის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, ეკონომიკური რესურსებით გაამყაროს დიპლომატიური კავშირები. *ტერმინი იშვიათად გამოიყენება ქართულენოვან ნაშრომებში.*

კისინჯერის პოლიტიკურ კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1975 წლის ჰელსინკის ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი ჰელსინკის აქტს სკეპტიკურად უყურებდა, შიშობდნენ, რომ დასავლეთი ამით დათანხმდა აღმოსავლეთ ევროპის სტატუს-კვოზე. კისინჯერის გათვლით, ამ დოკუმენტით შეერთებულმა შტატებმა მორალურად და სამართლებრივად დააკანონა ადამიანის უფლებების პრინციპი, რომელიც მომავლისთვის გამოყენებად ბერკეტად იქცეოდა საბჭოთა ბლოკის წინააღმდეგ.

კისინჯერის ინიციატივით გაგრძელდა ასევე აქტიური დიპლომატიური ჩართულობა ახლო აღმოსავლეთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1975 წელს ეგვიპტესა და ისრაელს შორის გაფორმებული შეთანხმება (Sinai Interim Agreement 1975), რომლითაც, ნაწილობრივ აღდგა ეგვიპტესა და აშშ-ს შორის ურთიერთობა. ეს იყო ერთგვარი გაგრძელება ე.წ. „მატარებლური დიპლომატიის"[26] - სტრატეგიის, რომელიც კისინჯერმა ჯერ კიდევ ნიქსონის დროს ჩამოაყალიბა და მიზნად ისახავდა, შეერთებულ შტატებს შეენარჩუნებინა შუამავლის როლი რეგიონულ კონფლიქტებში (Lishingman 2012: 14-22).

გარდა ამისა, ფორდის ადმინისტრაციის დროს, კისინჯერი აქტიურად მუშაობდა ბირთვული შეიარაღების შეზღუდვაზე (SALT II-ს მოსამზადებლად), თუმცა მისი ძალისხმევის შედეგები უკვე მოგვიანებით განხორციელდა. ამ პროცესში კისინჯერმა შეინარჩუნა რწმენა, რომ ძალაუფლება და უსაფრთხოება არ მოდის მხოლოდ იარაღის რაოდენობით, არამედ ურთიერთობების სტრუქტურით - რაც მის რეალისტურ ფილოსოფიას თანხვდება. თუმცა, კისინჯერის პოლიტიკა კრიტიკასაც იწვევდა. შინაგან პოლიტიკურ სცენაზე მას აკრიტიკებდნენ, როგორც ულტრარეალისტს, რომელიც იგნორირებას უკეთებდა დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებით ისეთი რეგიონების მიმართ, როგორიც იყო ჩილე, ინდონეზია და ცენტრალური აფრიკა. მაგრამ კისინჯერის შეფასებით, სტრატეგიული სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე შერჩევითი მორალური ჩარევები. საბოლოოდ, ფორდის პრეზიდენტობის დასრულების შემდეგ, კისინჯერი ჩამოშორდა სამთავრობო თანამდებობებს, მაგრამ მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე და საგარეო პოლიტიკის ფორმულირებაზე - განსაკუთრებით დიპლომატიური პრაგმატიზმის კონტექსტში - მნიშვნელოვან კვალს ტოვებდა. ფორდის ადმინისტრაციის ეპოქა შეიძლება ჩაითვალოს კისინჯერის გეოპოლიტიკური ხედვის ზენიტად, სადაც მისი რეალისტური მიდგომა ყველაზე ცხადად გამოიკვეთა.

---

[26] მატარებლური დიპლომატია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი ფორმაა, სადაც ტრანსპორტის, სატრანზიტო გზებისა და კომუნიკაციების გამოყენება დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და გავლენის ინსტრუმენტად იქცევა. ქვეყნები ტრანსპორტულ მარშრუტებს იყენებენ როგორც თანამშრომლობის, ასევე ზეწოლის ბერკეტს. *ტერმინი იშვიათად გამოიყენება ქართულენოვან ნაშრომებში.*

დასკვნა. ჯერალდ ფორდის ადმინისტრაციის დასრულების შემდეგ (1977), ჰენრი კისინჯერი მართალია ჩამოშორდა ოფიციალურ სამთავრობო თანამდებობებს, მაგრამ მისი ინტელექტუალური გავლენა საგარეო პოლიტიკის დისკურსზე არათუ გაქრა, არამედ ახალი ფაზაც დაიწყო - აკადემიური, ანალიტიკური და კონსულტაციური გავლენის ფორმით. ამ ფაზაში კისინჯერი წარმოჩნდა არა მხოლოდ როგორც ყოფილი სახელმწიფო მდივანი, არამედ როგორც სტრატეგიული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

მისი სამეცნიერო საქმიანობის ბირთვი უკავშირდება ძალთა ბალანსის, რეალიზმის და ისტორიული ანალიზის პრინციპებზე დაფუძნებულ მსოფლმხედველობას. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, კისინჯერმა დაწერა სტატიები, წიგნები და მოხსენებები, რომლებშიც არა მხოლოდ აანალიზებდა ცივი ომის პერიოდს, არამედ ეძებდა სტრატეგიული აზროვნების ახალ ფორმებს ცვალებად გლობალურ სისტემაში. 1994 წელს გამოქვეყნებული წიგნი Diplomacy მისი აკადემიური მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებად მიიჩნევა - ეს არის არამხოლოდ ისტორიული ნარატივი, არამედ სტრატეგიული სახელმძღვანელო, რომელიც ისტორიულ გამოცდილებას გეოპოლიტიკურ ანალიზთან აერთიანებს (Kissinger Diplomacy 1994).

კისინჯერის ანალიზის სტილი იმით გამოირჩევა, რომ იგი არ აძლევს უპირატესობას იდეალიზმს ან მორალურ უნივერსალიზმს - პირიქით, იგი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკა უნდა გაანალიზდეს ინტერესებისა და ძალთა განაწილების პრიზმიდან, რაც ხშირად გულისხმობს რთულ მორალურ კომპრომისებს. ამ პოზიციით კისინჯერი განაგრძობდა ჰანს მორგენტაუს რეალიზმის ტრადიციას, თუმცა მას თავისი ისტორიულ-ფილოსოფიური ელემენტიც ჰქონდა: კისინჯერის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფილოსოფოსების - იმანუელ კანტის, ნიცშესა და შპენგლერის ინტერპრეტაციას, განსაკუთრებით იმ საკითხში, თუ როგორ გარდაიქმნება წესრიგი ქაოსად საერთაშორისო სისტემაში.

აკადემიურ სფეროში კისინჯერის მნიშვნელოვანი ნაშრომებია „სჭირდება თუ არა ამერიკას საგარეო პოლიტიკა? (Kissinger 2001), რომელშიც კისინჯერი ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის ეპოქაშიც საჭიროა სტრატეგიული განსაზღვრულობა და არა ქაოსური რეაგირება. 2014 წელს გამოიცა მისი მომდევნო წიგნი „მსოფლიო წესრიგი“ (Kissinger 2014) - ეს წიგნი მისი მოწიფულობის დროს მიეკუთვნება და ეხება თანამედროვე მრავალპოლუსიან სამყაროში ახალი წესრიგის შექმნის სირთულეებს.

კისინჯერი აქტიურად მონაწილეობდა გლობალურ ფორუმებში, ხშირი სტუმარი იყო დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე, ჩართული იყო აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კონსულტაციებში და ა. შ. მას რჩევისთვის ხშირად მიმართავდნენ როგორც პრეზიდენტები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, განსა-

კუთრებით ჩინეთთან, რუსეთთან ან ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული დელიკატური საკითხების გადაჭრის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოლიტიკა არაერთი კრიტიკის ობიექტი გახდა (განსაკუთრებით ადამიანის უფლებების თემაზე), აკადემიურ სივრცეში ის განიხილება როგორც სტრატეგიული აზროვნების გამორჩეული წარმომადგენელი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კისინჯერის ინტელექტუალური საქმიანობა მხოლოდ დასავლურ-ცენტრისტულ ჩარჩოებში არ ეტეოდა. იგი აქტიურად აანალიზებდა ჩინური სტრატეგიული კულტურის სპეციფიკას და 2011 წელს გამოსცა კიდეც წიგნი On China (Kissinger2011), რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ აქ დავამატებთ ერთ საინტერესო დეტალს. წიგნი ფოკუსირდება ჩინური პოლიტიკური ფილოსოფიის, დიპლომატიური ტრადიციების და გეოპოლიტიკური სტაბილურობის ურთიერთობაზე. კისინჯერის შეფასებით, ჩინეთის სტრატეგია ეფუძნება არა დაპირისპირებას, არამედ თანმიმდევრულ თვითმკვლევ მოქმედებას - რაც მას დასავლური მოდელისგან რადიკალურად განასხვავებს. წიგნის კონტენტიდან ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობდა ჩინურ რელიგიურ ფილოსოფიას, რომლის ელემენტები XX საუკუნის ჩინური პოლიტიკური ფილოსოფიის ამოსავალ წერტილად მიიჩნია.

სამთავრობო სამსახურის შემდეგ, ჰენრი კისინჯერის სამეცნიერო კარიერა არ იყო მხოლოდ ნოსტალგიური ჩაძირვა წარსულში. იგი გარდაიქმნა საერთაშორისო სტრატეგიული აზროვნების წყაროდ, რომლის გავლენა ვრცელდებოდა აკადემიიდან პრაქტიკულ პოლიტიკამდე. კისინჯერის ტექსტები დღესაც აქტიურად განიხილება უნივერსიტეტებში, სტრატეგიულ სამეთაურო სკოლებში და დიპლომატიურ წრეებში, როგორც საგარეო პოლიტიკის ანალიზის კლასიკური წყაროები, რომლებიც ეხმარება თანამედროვე პოლიტიკოსებს გაუმკლავდნენ XXI საუკუნის არასტაბილურ და ფლუიდურ გეოპოლიტიკურ[27] რეალობას. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში რომელიც მან Financial Time-ის კორესპონდენტს ედვარდ ლუსს მისცა, კისინჯერმა თქვა „ჩვენ ახლა ძალიან, ძალიან რთულ პერიოდში ვცხოვრობთ“ (Kissinger 2018). სამწუხარო ის ფაქტი კი არ არის, რომ მსოფლიო რთულ პერიოდში ცხოვრობს, რთული დრო ყოველთვის იყო მსოფლიოში, სამწუხაროა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ჯერ არ ჩანს სახელმწიფო მოღვაწეები და დიპლომატები, რომლებსაც შეუძლიათ რთული გეოპოლი-

[27] ფლუიდური გეოპოლიტიკა (Fluid Geopolitics) უწოდებენ გეოპოლიტიკური გარემოს მუდმივად ცვალებად, არასტაბილურ და არამყარ ხასიათს. ეს კონცეფცია აღნიშნავს მსოფლიოს პოლიტიკურ სცენას, სადაც ქვეყნები, რეგიონები და საერთაშორისო ურთიერთობები მუდმივ ცვლილებაშია, რაც ხდება ახალი გამოწვევების, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარდაქმნების, ბუნებრივი რესურსების დეფიციტისა და გლობალური პრობლემების გავლენით. ფლუიდური გეოპოლიტიკის მახასიათებლებია: 1. გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, 2. ტექნოლოგიური და ეკონომიკური ცვლილებები, 3. გლობალური გამოწვევები, 4.არამყარი მოკავშირეობა. *ტერემინი იშვიათად გამოიყენება ქართულენოვან ნაშრომებში.*

ტიკური საკითხების გადაწყვეტა და მსოფლიო სტაბილურობისა და სახელმწიფოთა თანასწორობის შენარჩუნება და ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა.

ჰენრი კისინჯერის მემკვიდრეობის შესწავლა რთული და მრავალმხრივია. როგორც პრაქტიკოსმა და როგორც მოაზროვნემ, მან შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობების გაგება. მიუხედავად კრიტიკისა მორალურ ასპექტებზე, კისინჯერის პრაგმატული და ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომები დღემდე წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის ანალიზის საყრდენს. მისი აზრით, მსოფლიო არ ვითარდება მორალური მაქსიმების მიხედვით, არამედ იმპერატივებით, რომლებიც ცვალებად ინტერესებზეა დაფუძნებული. XXI საუკუნის არასტაბილურ პირობებში, კისინჯერისეული დიპლომატია შესაძლოა კვლავ გახდეს ინსპირაციის წყარო გლობალური წესრიგის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

დიპლომატიური ლექსიკონი (1999) ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. ტომი 2. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

კაჭარავა (2021) ვასილ კაჭარავა. დიდი ადამიანები. რიჩარდ ნიქსონი, აშშ-ის 37-ე პრეზიდენტი, *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ჟურნალი „ჩემი* სამყარო“, 2021, N33 https://gfsis.org.ge/cbgl/my-world/33

სონღულაშვილი (2021) ავთანდილ სონღულაშვილი. ისტორია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;

Asselin (2024). Pierre Asselin. Vietnam's American War: A New History. Cambridge University Press;

ABM Treaty (Anti-Ballistic Missile Treaty, No. 13446. TREATY BETWEEN THE UNITED STATES OF AMERICA AND THE UNION OF SOVIET SOCIALIST REPUBLICS ON THE LIMITATION OF ANTIBALLISTIC MISSILE SYSTEMS. SIGNED AT MOSCOW ON 26 MAY 1972. https://treaties.un.org/doc/Publication/UNTS/Volume%201042/volume-1042-I-13446-English.pdf (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Camp David Accords (1978) The Camp David Accords. The Framework for Peace in the Middle East, https://www.peaceau.org/uploads/camp-david-accords-egypt-1978.pdf (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Colman (2016) Jonathan Colman, The Cuban Missile Crisis: Origins, Course and Aftermath, Edinburgh University Press https://dokumen.pub/the-cuban-missile-crisis-origins-course-and-aftermath-9780748696291.html (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Ferguson (2015$_1$) Niall Ferguson. Kissinger: 1923-1968: The Idealist, The definitive biography of Henry Kissinger, based on unprecedented access to his private papers,

Center of International Affairs at Harvard University https://www.wcfia.harvard.-edu/publications/kissinger-1923-1968-idealist (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Ferguson (2015₂) Henry Kissinger and the Study of Global Affairs. reflects on Henry Kissinger's intellectual approach and legacy for the study of international affairs. Johns Hopkins school of advansed International Studies https://sais.jhu.edu/kissinger/about/legacy (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Kaplan (1999) Kissinger, Metternich, and Realism, The Atlantic. June 1999 the online version of this article appears in two parts. https://www.theatlantic.com/magazine/archive/1999/06/kissinger-metternich-and-realism/377625/ (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Kissinger (1950) Henry A Kissinger.The Meaning of History: Reflections on Spengler, Toynbee and Kant, ნაშრომი იხილეთ შემდეგ ლინკზე: https://ia800708.us.archive-.org/6/items/HenryAKissingerTheMeaningOfHistoryReflectionsOnSpengler-ToynbeeAndKant/Henry%20A%20Kissinger%20-%20The%20Meaning%20of%-20History_%20Reflections%20on%20Spengler%2C%20Toynbee%2C%20and%20Kant.pdf (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Kissinger (1957) Henry A Kissinger. A World Restored: Metternich, Castlereagh and the Problems of Peace 1812–1822. Publisher Houghton Mifflin;

Kissinger (1975) Henry A Kissinger. Lessons of Vietnam, by Secretary of State Henry Kissinger, იხილეთ დაარქივებული აქ https://web.archive.org/web/20080509064916/http://www.ford.utexas.edu/library/exhibits/vietnam/750512a.htm (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Kissinger (1979) Henry Kissinger, White House Years. New York, London, Toronto, Sydney, Publishing house Simon &Schuster Paperbacks https://www.googl-e.ge/books/edition/White_House_Years/O2z_kKVF7iIC?hl=en&gbpv=1&printsec=frontcover (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Kissinger (1994) Henry A Kissinger. Diplomacy, New York, London, Toronto, Sydney, Tokyo, Tokyo, Publisher Simon & Schuster, https://www.scribd.com/document/426400503/Henry-Kissinger-Diplomacy-pdf (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Kissinger (2001) Henry Kissinger. Does America Need a Foreign Policy? Toward a Diplomacy for the 21st Century, New York : Simon & Schuster. https://archive-.org/details/doesamericaneedf0000kiss (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Kissinger (2011) Henry Kissinger. On China. New York: Penguin Press

Kissinger (2014) Henry Kissinger World Order. Reflections on the Character of Nations and the Course of History, First Published by Penguin Press, a member of penguin Group (USA), https://cssplatformbytha.com/wp-content/uploads/2024/10/World-Order-by-Henry-Kissinger.pdf (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Kissinger (2018) Lunch with the FT: Henry Kissinger 'We are in a very, very grave period', Edward Luce | Financial Times, July 20, 2018 https://www.henryakissinger.com/interviews/lunch-ft-henry-kissinger/ (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Lishingman (2012) Vanessa Lishingman. Henry Kissinger's Contribution to the Conception of International Relations Legitimacy, Consensus and Order: the Foreign Policy of Moderation, https://gjis.journals.yorku.ca/index.php/gjis/article/view/35137/31882 (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Lishingman, V. (2012). Vanessa Lishingman. Henry Kissinger's Contribution to the Conception of International Relations Legitimacy, Consensus and Order: the Foreign Policy of Moderation. *Glendon Journal of International Studies*, *1*. Retrieved from https://gjis.journals.yorku.ca/index.php/gjis/article/view/35137 (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Lomperis (1996) Timothy J. Lomperis. From People's War to People's Rule: Insurgency, Intervention, and the Lessons of Vietnam. University of North Carolina Press;

Memorandum of Conversation(1971) Office of the Historian. Foreign Relations of the United States, 1969–1976, Volume XVII, China, 1969–1972. 139. Memorandum of Conversation 1. Beijing, July 9, 1971, 4:35–11:20 p.m. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v17/d139 (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Morgentau (2006) Hans J. Morgentau, Politics Among Nations The Struggle For Power And Peace, Revised by Kenneth W Thompson and W. David Clinton, Seventu Edition, https://saldanha.pbworks.com/f/Morgenthau.Politics+Among+Nations.pdf (ბოლო წაკითხვა 2024/15/12);

Morgentau (2000) Morgenthau, Hans J., "Interview with Hans Morgenthau - OH 058" (2000). Winthrop University Oral History Program. OH 058. https://digitalcommons.winthrop.edu/oralhistoryprogram/491 (ბოლო წაკითხვა 15/12/2024)

Nadeau, Ryan M. (2016). Nadeau, Ryan M . Creating a Statesman: The Early Life of Prince Clemens von Metternich and its Effect on his Political Philosophy". The Gettysburg Historical Journal. 15.

Nalty (1998). Bernard C. Nalty. The Vietnam War. New York: Barnes and Noble Edition 1st Printing.

Nixon (1978) The Memoirs of Richard Nixon, New York: Grosset & Dunlap, იხილეთ ელ-ვერსიაhttps://archive.org/details/rnmemoirsofricha00nixo/page/n1191/mode/2up (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Norman Gash (2025) Norman Gash. Robert Stewart, Viscount Castlereagh, Irish statesman, Encyclopædia Britannica https://www.britannica.com/biography/Robert-Stewart-Viscount-Castlereagh-2nd-marquess-of-Londonderry (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Palmer, Alan (1972). Alan Palmer. Metternich: Councillor of Europe (1997 reprint ed.). London: Orion

SALT I (1972) Strategic Arms Limitation Treaty - INTERIM AGREEMENT BETWEEN THE UNITED STATES OF AMERICA AND THE UNION OF SOVIET SOCIALIST REPUBLICS ON CERTAIN MEASURES WITH RESPECT TO THE LIMITATION OF STRATEGIC OFFENSIVE ARMS (SALT I) https://media.nti.org/documents/salt_1.pdf (ბოლო წაკითხვა 20-24/12/12);

Sinai Interim Agreement (1975) Interim Agreement between Israel and Egypt 4 September 1975 https://peacemaker.un.org/sites/default/files/document/files/2024/-05/eg20il750904interim20agreement20between20israel20and20egypt.pdf (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Shinagel (2010), Michael Shinagel. The Gates Unbarred: A History of University Extension at Harvard, 1910–2009, Harvard University Press; https://www.hup.harvard.-edu/books/9780674036161 (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

United Nations — Treaty Series (1974) Agreement No. 13295 (a) UNITED STATES OF AMERICA, DEMOCRATIC REPUBLIC OF VIET-NAM, PROVISIONAL REVOLUTIONARY GOVERNMENT OF THE REPUBLIC OF SOUTH VIET-NAM and REPUBLIC OF VIET-NAM, Agreement on ending the war and restoring peace in Viet-Nam. Signed at Paris on 27 January 1973, https://treaties.un.org/doc/Publica-tion/UNTS/Volum-e%20935/volume-935-I-13295-English.pdf (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);

Кулик (2002) Борис Кулик. Советско-китайский раскол: причины и последствия. РАН. Ин-т Дальнего Востока, Москва; Издательство Ин-т Дальнего Востока;

Лавренов, Попов (2003) Советский Союз в локальных войнах и конфликтах. Москва, Издательство Астрель, 2003. Глава 10. Карибский кризис: мир на грани катастрофы С. 213-289;

Петров (2017) Игорь Петров. Советско-китайские войны. Пограничники против маоистов, Москва Издательство Эксмо;

Сапронова, Комова (2016) Юля Сапронова, Мария Комова. Приподнимая занавес: как Ричард Никсон стал своим в СССР, Forbes, 03 февраля 2016. https://ww-w.forbes.ru/sobytiya-photogallery/vlast/311727-pripodnimaya-zanaves-kak-richard-nikson-stal-svoim-v-sssr (ბოლო წაკითხვა 2024/12/12);